



დავით აღმაშენებლის გამზ. N79
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

20 / თებერვალი / 2025 წ.

№ 17/450



KA990182891319425

სსიპ-სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის წამყვან
სპეციალისტს, ქალბატონ მარიამ
დიდებელს

ქალბატონო მარიამ,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 19 თებერვლის N6/9093 წერილი, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ არჩეულში, თამაზ ტყეშელაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე 995.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N 27.14.53.305) ნაწილის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ N27.14.53.305 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - „ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი“ (გის N16712) (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 27/11/2017 წლის N02/18 ბრძანება) ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები. დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ არჩეულში, თამაზ ტყეშელაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე 995.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N 27.14.53.305) ნაწილის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული რეჟიმი. ხოლო უძრავი ქონების შემდგომში განვითარების, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, საჭიროა ნებისმიერი ქმედება შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

